ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №581161

ნომერი: AR1114876

თარიღი : 10.03.2013

გაცემის თარიღი : 20.03.2013

გაცნობის თარიღი : 26.03.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ღვინის აღმართისა და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე, (ნაკვეთი N90/22) / ქალაქი თბილისი , რიყის ტერიტორია , აღმართი ღვინის და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე, ნაკვეთი 90/027 / ქალაქი თბილისი , ღვინის აღმართისა და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე, ნაკვეთი 90/028 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ომარ ჯანჯღავა პ/ნ 01017001635
- ქიაჩელის 5/7

ნომენკლატურა :

- რესტორანი
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საზოგადოებრივი კვების ობიექტი (რესტორანი)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გოჩა მუსერიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "PEK"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404902584
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ომარ ჯანჯღავა

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: ომარ ჯანჯღავა

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 401308
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 13.11.2012

ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2012 წლის 13 ნოემბრის N401308 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.
ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 13 ნოემბერს შეთანხმდა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი – ისანი), ღვინის აღმართისა და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე, (ნაკვეთი N90/22) / რიყის ტერიტორია, ღვინის აღმართისა და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე, ნაკვეთზე 90/027 / ღვინის აღმართისა და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე, ნაკვეთზე 90/028, შპს "P.E.K."–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული (სავინტილაციო შახტის ზომის შემცირება) პროექტი N401308 და გაიცა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
AR1114876 განაცხადით მოგვმართა მოქ. ო. ჯანჯღავამ, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2012 წლის 13 ნოემბერის N401308 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.
სამსახურმა განაცხადის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 13 ნოემბრის N401308 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2013 წლის 14 მარტის ჩათვლით" შეიცვალოს ,,ნებართვა ძალაშია 2013 წლის 22 ივლისის ჩათვლით'';
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 13 ნოემბრის N401308 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად;

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.